საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის

მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 253

კვირა, ივლისის 23 1922 წ.

ტფილ. ფასი 5000 მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნუგეშოდ დამწუხრებული მშობლები ნინო პეტრეს ასული და ვასილი ბუღლდუს ძე მალაშხიები, ძმები შალვა და ანდრო აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ქ. როსტოვში ივლისის 2-ს ტრაღიკულად დაიღუპა მათთვის დაუვიწყარი და ძვირფასი შვილი და ძმა

ალექსანდრე (საშა) ვასილის ძე

## მალაშხია

პანაშვიდები ყოველდღე ქვაშვეთის ეკლესიაში საღ. მოს 8 საათზე. განსვენებულის ჩამოსვენებისა და მისი დაკრძალვის შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული.

## განცხადება

## ტფილისის საუბნო მილიციის სამმართველოების საუწყებათაშორისო სარევიზიო კომისიის თავმჯდომარისა

ა. წ. ივლისის ოციდან, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველის **დავით ჩიქოვანის** თავმჯდომარეობით იწყება ტფილისის საუბნო მილიციის სამმართველოების რევიზია იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად კანონიერად იქნა აკრეფილი სხვა და სხვა გადასახადები ქალაქ ტფილისში. კომისიაში წევრებათ შედიან: მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის, ფინანსთა სახალხო კომისარიატის და ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელი.

ყველა მოქალაქეთ ევალებათ სხვა და სხვა და სხვა გადახდილ გადასახადის ყოველგვარი კვიტანციები და კერძო ბარათები წარმოადგინონ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში შესამოწმებლად, იმათ, ვინც ზემოაღნიშნულ კვიტანციებსა და კერძო ბარათებს არ წარმოადგენს, გადახდილი გადასახადი ჩაეთვლებათ გაბათილებულად და ხელმეორედ გადახდებათ. განცხადებები და ნახსენები კვიტანციები უნდა ჩაბარდეს კომისიისათვის გადასაცემათ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო განყოფილების **მდივანს**. (ოთახი № 21).

ტფილისის საუბნო მილიციის სამმართველოების საუწყებათაშორისო სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე—**დავ. ჩიქოვანი.**

## ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმი აცხადებს

ყველა მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ ვისაც სურს რაიმე შეწირულების გაღება

**ამხ. კამოს**

სახელობის თავშესაფარის ფონდისათვის, ასეთები უნდა გამოგზავნოს ქალაქის აღმასკომის კასაში.

მდივანი **ხუნდაძე**

## რუსეთის კონტრ-რევოლიუციონური ინტელიგენცია

რუსეთის რევოლიუციის პროცესში ინტელიგენციამ შეასრულა თავისი კონტრ-რევოლიუციონური როლი. ემიგრანტთა ბანაკიდან უკანასკნელ ხანებში გაისმა ხმა სინანულისა და „ვეხისტები“ მოსულა რუსეთს, როგორც განდგომილი შვილი მშობლიურ კერას.

„ვეხისტების“ ნაბიჯი იმ თავითვე აშკარავებდა მათ სულისკვეთებას, რომ ისინი უბრუნდებიან არა დიდ რევოლიუციას, არამედ დიდ რუსეთს.

უკანასკნელადაც, როგორც მოსკოვის გაზეთები იუწყებიან „ვეხისტები“ მართავენ მოხსენებებს, რომელშიაც აცხადებენ, რომ მესამე ინტერნაციონალისა და რუსეთის ინტერესებს შორის არ არის წინააღმდეგობა და ჩვენ კი არ უახლოვდებით კომუნისტებს, არამედ ისინი გვიახლოვდებიან ჩვენაო.

რა თქმა უნდა ჩვენც იმ აზრისა ვართ, რომ რუსეთის მშრომელი ხალხის ინტერესებს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს და არც ეწინააღმდეგება კომინტერნის ინტერესები, მაგრამ ჩვენ კარგად გვესმის ისიც, რომ „ვეხისტები“ არ იცხადებენ თავს რუსეთის მუშათა კლასის ინტერესებით და ამ შემთხვევაში ისინი სხვა საზომით უდგებიან საკითხს.

მათთვის მხოლოდ დიდი რუსეთის იდეაა სათაყვანებელი. ისინი ვერ ურიგდებოდენ დანაწილებულ რუსეთს, ხოლო როდესაც დაინახეს, რომ რუსეთი მრთელდება და იკრებს თავის ნაწილებს, ისინი მივიდენ მაშინ საბჭოთა მთავრობასთან. ეს ერთი მომენტი, მომენტი შალიესად რუსული ნაციონალისტური ავადმყოფობისა ამ ხალხს საბჭოთა წყობილებასთან და თავისი ბნელი ზრახვების განადგებას ცდილობს რევოლიუციის გზით.

ამ „შემთხვევაში „ვეხისტებისათვის“ საინტერესოა განაპირა კუთხეების საკითხი. ისინი, როგორც წინეთ, ისე დღესაც ვერ მოინელებენ პატარა ერთა თავისუფლებას და რამდენათაც ხედავენ გამაერთიანებელ ტენდენციას ცენტრისა და პერიფერიებს შორის, იმდენ ისინი ხედავენ, რომ მათ უახლოვდებიან კომუნისტები და არა ისინი უახლოვდებიან კომუნისტებს.

„ვეხისტებს“ როგორც ვსთქვით დიდი რუსეთის იდეა ახელმძღვანელებს და არა დიდი რევოლიუციის. განაპირა ქვეყნებშიაც ზოგიერთ უცხოეულ კომუნისტს ასეთივე პოლიტიკისადმი მისწრაფება ახასიათებს და მათ შორის მართლაც არის „სიახლოვე“, რუსეთის რევოლიუციამ ორთავე ჯურის ხალხს სასტიკი კონტროლი უნდა გაუწიოს და უნდა დაანახოს, რომ სხვაა დიდი რუსეთი და სხვაა დიდი რევოლიუცია. „ვეხისტებმა“ და მათთან ახლოს მდგომმა ხალხმა, უნდა დაინახოს, რომ რუსეთის ინტერესების განადგება რევოლიუციაშია, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს ძველი რუსეთის მთლიანობის იდეას, დიდი რუსეთის აღდგენას.

როგორც შიგნით, ისე გარეთ საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა ნათელყოს, რომ რუსეთის ბატონობა სხვა ერებზე დაემხო და ასეთი რამ ამიერიდან შეუძლებელია. ესდა შესაძლებელია რუსეთთან კავშირი, რუსეთთან სიარული, რუსეთთან ბრძოლა და არა რუსეთთან ბრძოლა, რუსეთის კავშირი, რუსეთით სიარული.

დღეს დიდი რევოლიუციის ეპოქა მისთვის არის დიდი რევოლიუციის სახელწოდების ღირსი, რომ პატარა ერებსაც უფლება უნდა ქონდეთ თანასწორი სიტყვისა და საქმის გუშინდელ ბატონთან და არავითარ უმცროს-უფროსობის ნიშან-წყალი არ უნდა სჩანდეს ერთა ურთიერთობაში.

მიუხედავად ამისა, ეს რეალობაში სასტიკად და მკაცრად არ ტარდება. დღესაც მოსკოვის კრემლი გადაქცეულია იმ ძალად, რომლისაკენაც ისწრაფვის „მოსკოველი ხალხი“ და სურს მასთან მჭიდროდ „გაერთიანება“ ყოველივე ამ უპიდრუკთ ჰგონიათ, რომ ეს რევოლიუციის სამსახურია.

ასეთი მოვლენების ნიადაგზე აღმოცენდა „ვეხისტების“ პოლიტიკა. მათი აღმოცენების მიზეზი კომუნისტური პოლიტიკის დეფექტებია. ეს მეტად ცუდი სიმპტომია რევოლიუციისათვის. „ვეხისტები“ რუსეთს ვერას შეძენენ, რასაც არ დააკლებენ „ვეხისტების“ თარეში სამართლიანად აშფოთებს განაპირა ქვეყნების მშრომელ ხალხს და ყოველ რევოლიუციონერთ.

რუსეთის რევოლიუციის მისია მარტო რუსეთის აღდგენაში თუ მოექცა, იგი მაშინვე დამარცხებულად უნდა ჩაითვალოს. პატარა ხალხისა და რუსული ნაციონალიზმით გაქელილ კაცუნებს ნება არ უნდა მივცეთ თავისუფალი ლაპარაკისა მანამ, სანამ რუსეთის მშრომელ ხალხს არ გაუსვრია ის დროშა ლაფში, რომელსაც თანასწორობა და თავისუფლება აწერია. „რუსოტიანული“ ელემენტები ყველაზედ დიდი მტერია დიდი რევოლიუციის და თვით რუსეთის მშრომელი ხალხისა. ასეთ ელემენტებს წარმოადგენს დღეს „ვეხისტები“ და საბჭოთა ხელისუფლების მოვალეობაა თვალყური ადევნოს კონტრ-რევოლიუციონური ემიგრანტების დეზერტირებს, რომელიც დიდი რუსეთის იდეას ებღაუჭება, „ვეხისტებმა“ უნდა გაიგონ, რომ მათი სამფლობელო საბადისოდ დაემხო და რუსეთის რევოლიუციონური ხელისუფლება და განაპირა რესპუბლიკების მშრომელი ხალხი ნებას არავის მისცემს კვლავ დიდი რუსეთის იდეით შავი ზრახვების განადგებისა.

ს.—ელი.

## მუშათა წერილები

### ვინ არის ბოიკოტის ღირსი?

(დასასრული)

მაგრამ რა ფასი აქვს ზემოხსენებულ ფრაზებსა და ლოზუნგებს სინამდვილეში. რა თქმა უნდა სრულიად არაფერი იმდენად, რამდენადაც ქართველი ხალხი მენშევიკურ ქსელშია გახვეული და ამის მეოხებით არა აქვს მას საშუალება მენშევიკურ საქართველოს გარეშე შეაფასოს დღეს საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა. ვიმეორებთ, დღეს მენშევიკების შემყურე ქართველ ხალხს წართმეული აქვს ამის საშუალება და მთელი მისი ყურადღება ყოველ დღიურად მხოლოდ და მხოლოდ ბათომის პორტისკენ არის მიპყრობილი. ჰფიქრობს.—აჰა, სადაც არის შავი ზღვიდან ინგლისელი ზარბაზანი იგრიალებსო.— გეკითხებით; არის თუ არა სინამდვილეში ქართველი ხალხისთვის ასეთი შესაძლებლობა? ჩვენ ვამბობთ; ზემოხსენებული მისაზრება არა თუ მარტო სისულელე და აბსურდია, არამედ ის ნამდვილი სიგიჟეა და ხალხის გაბრიყვება.

მაშ რაში გამოიხატება ჩვენი „მოღალატეობა“ ისეთი სახით, რომ ის „ბოიკოტის“ ღირსი იყოს? აი თურმე რაში:

ჩვენ, მემარცხენე-ფედერალისტები, არა თუ მარტო დღეს, არამედ თვით მენშევიკების დროსაც წინააღმდეგნი ვიყავით ანტანტის ორიენტაციისა. ჩვენმა ამხ. თ. ღლონტმა დამფუძნებელ კრებაში კონსტიტუციის მიღების დროს, მის წინააღმდეგ გაილაშქრა და მოითხოვდა საქართველოში გამოცხადებული ყოფილიყო მუშათა ძალა უფლება, რაიცა უსათუოდ ნიშნავდა რუსეთის რევოლიუციის ორიენტაციას მიმართულს წინააღმდეგ ანტანტისა. მაშინაც და ეხლაც ჩვენ ევროპაში არ ჯვეგულება ისეთი სახელმწიფო, რომელიც მაღალი ჰუმანიური აზრებით იყოს გამსჭვალული და საქართველოს „დე-ფაქტო“ და „დე-იურე“ საანგარიშო „ჩოთქში“ არ ჩაუგდოს; ამავე ღლონტმა თავის ცნობილ წიგნში ბოლშევიკების საგარეო პოლიტიკის შესახებ ნათლად გამოარკვია კაპიტალიზმის დამღუპველი შედეგები ჩვენი ერისათვის და სოციალისტური რევოლიუცია დასახა, როგორც საშუალება ჩამორჩენილი ერების ყოველ მხრივ განთავისუფლებისა.

საერთოდ კი მთელი ამიერ-კავკასია და კერძოდ საქართველო, რომ თავდაცვის ფრონტი იყო, ეს არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს. რით ხასიათდება საზოგადოდ ანტანტის პოლიტიკური მიმართულება? აი რით.

იყო დრო, როდესაც საქართველოში დათარეშობდნენ უცხოეთის ჯარები რის მოწმენიც ჩვენ ყველანი ვიყავით და აი სწორედ აქ ისმის კითხვა იმის შესახებ, თუ ვის იცავდნენ ეს ჯარები? საქართველოს თუ თავიანთ იმპერიალისტურ მისწრაფებებს? თუ საქართველოს,—მაშ რად მოხდა ისე, რომ სწორედ მაშინ, როდესაც ბოლშევიკებმა რუსეთში დენიკინი და სხვა კონტრ-რევოლიუციონერები გაანადგურეს და ამიერ-კავკასიის საზღვრებს ემუქრებოდნენ, აი სწორედ ამ დროს ანტანტამ თავისი ჯარები მოხსნა სამხრეთ საქართველოდან და წაიყვანა. რად ჩააგდო პატარა საქართველო, სომხეთი და აზერბეიჯანის მუსულმანები ხიფათში? ნუ თუ დიდი ბრიტანეთის არმიას „მფარველობის“ ძალა და უნარი აღარ შესწევდათ? მაგრამ აკი ვამბობთ, რომ ძაღლის თავი აქ არა მარხიათქო. საფიქრებელი იყო, რომ ლოიდ-ჯორჯს საქართველოდან ჯარები კი არ უნდა მოეხსნა და წაეყვანა, პირიქით, მას ეს ძალები უნდა გაეძლიერებინა სწორედ მაშინ, როდესაც ბოლშევიკებმა ბაქო დაიკავეს. მაგრამ აქ მოხდა სრულიად წინააღმდეგი და ეს ჩვენთვის მემარცხენე ს.-ფედერალისტებისთვის სავსებით გასაგები იყო. დენიკინის დამარცხებით გადაიჭრა ის მთავარი ძარღვი, რომლითაც ინგლისის იმპერიალისტური პოლიტიკა სულდგმულობდა როგორც რუსეთში, აგრეთვე ამიერ-კავკასიაში.

თვით ამ სტრიქონების დამწერი იდგა იმ ჯარის კაცთა რიგებში, რომელნიც აწარმოებდნენ არა შეტევით, არამედ მოგერიებითი ბრძოლას ბოლშევიკების ჯარებთან. ერთმა მეტად თვალსაჩინო დიპლომატმა მენშევიკმა, რომელიც იმ ჟამად ევროპიდან დაბრუნდა დაბა ხაშურში გვაუწყა, რომ ინგლის-იტალიის ჯარის დესანტები მზად არის კონსტანტინოპოლშიო; ეს ამბავი როგორც ჯარს, ისე ხალხს მეტად სარწმუნო ამბავად მიაჩნდათ. ჩვენ კი აღმაცერად ვუყურებდით, ვინაიდან, რა დასაჯერებელი იყო გაქცეულ ანტანტის ჯარების უკან დაბრუნება საქართველოში? ანტანტას ამის საშუალება წაერთვა და სურვილი სურვილადვე დარჩა. ცდა და მოლოდინი იყო ამას ელოდნენ არა მარტო მენშევიკები და მემარჯვენე ფედერალისტები, არამედ ამ მოლოდინს უცდის თვით რუსეთის ჯარი, რომელიც არის საქართველოში და სდარაჯობს ანტანტის თავდასხმას.

როგორია დღეს ფაქტიური მდგომარეობა?

თვით ბავშვისთვისაც კი ანბანური ჭეშმარიტებაა ის გარემოება, რომ მსოფლიო ომმა გაანიავა და არარად აქცია ქვეყნების მეურნეობა, გაალატაკა და ეკონომიურად დასცა მშრომელი ხალხი, სიცოცხლეს გამოასალმა მრავალი მილიონიანი მუშა ხელი, იმსხვერპლა მრავალი პირუტყვი, დაქანცა და დაღალა მთელი ხალხი და ყველა ამავის შემდეგ არიან ჩვენს ქვეყანაში ისეთი „ჯიშის“ ხალხი, რომელთაც არა თუ გულუბრყვილოდ, არამედ სერიოზულად სჯერათ, რომ ანტანტა ერთხელაც იქნება თავის ჯარებს მოიყვანს აქ მხოლოდ იმიტომ, რომ ამიერ-კავკასია გასწმინდოს ბოლშევიკებისაგან. პოლიტიკური ფანტაზია სულ სხვა არის, მაგრამ სინამდვილეში ჩვენ მიუხედავად ბურჟუაზიის დიდი სურვილისა ვერ წარმოგვიდგენია, რომ ევროპის მშრომელ ხალხში მოიპოვებოდეს ისეთი სულისკვეთება, რომელიც ჰქმნიდეს საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ ახალი ომის დაწყების აზრს? ერთი გვიბრძანონ და აგვიხსნან თუ რა პირობებია ის პირობები, რომელიც ევროპის პროლეტარიატს ინტერვენციის გუნებაზე აყენებდეს? ნუ თუ ევროპის მსუნაგი ბურჟუაზია, ის ბურჟუაზია, რომელმაც მსოფლიო ომის გამოწვევის დროს მთელი ხალხი გააბრიყვა, გაანადგურა მათი ქონება, მოსპო მათი სიცოცხლე, დღეს, ამ ბურჟუაზიას კვლავაც შესწევს გამბედაობა რომ „ახალად“ მოუწოდოს მხედრობას „ახალი“ სისხლის ღვრისაკენ? ჩვენ იოტისოდენა ეჭვიც არ გვებადება უსინიდისო ბურჟუაზიის ასეთი სურვილებში, მაგრამ სურვილები შექმნილ პირობებში როდი კმარა, აქ პირდაპირ კითხვა იბადება—გაჰყვება კი ევროპის მუშები და გლეხები გუშინდელი მწარე გამოცდილების შემდეგ ახალ განადგურებაში? ევროპის ბურჟუაზიულმა დიპლომატიამ პუანკარესა და ლოიდ-ჯორჯის სახით ძალიან კარგად იციან, რომ არ გაჰყვებიან და თუ ძალად გაიყვანეს—ეს მათთვის საბედისწერო და სახიფათო ნაბიჯი იქნება, რაიცა ჩვენ „ახალი“ ომის კი არა, ახალი რევოლიუციის გარეშე ვერ წარმოგვიდგენია. დიახ, ძალიან ჭკვიანი და დიპლომატები არიან ჯორჯი და პუანკარე, ისეთი ჭკვიანები, რომ ისინი რჩევა-დარიგებისათვის არასოდეს არ მიჰმართავენ არც ნ. რამიშვილს და არც ბ. ჩხიკვიშვილს. ჯერ ვაშინგტონის, მერე გენუასა და ბოლოს ჰააგის თათბირებმა აშკარად ნათელჰყო ის გარემოება, რომ ევროპის დიპლომატები ნამდვილი რეალიზმის გუნებაზე არიან და განზრახულ „ომებს“ აპირობენ არა იარაღით, არამედ პოლიტიკური და დიპლომატიური გზით.

რუსეთის ბაზარი და ნედლი მასალა თანამედროვე პირობებში უდიდეს საჭიროებას წარმოადგენენ მთელ რიგ ევროპის სახელმწიფოებისთვის და ამ გარემოებამ ამ ჟამად დაბადა აზრი რუსეთსა და ევროპის შორის მორიგებისა და კომპრომისების. ამის დანახვა რამდენიმე კონფერენციების შედეგების შემდეგ, მხოლოდ ბეცს და პოლიტიკურად დაბრმავებულ პარტიებსა და ადამიანებს არ შეუძლიანთ.

საერთაშორისო შექმნილ პირობების გამო ანტანტისთვის რადიკალურად წამოიჭრა საკითხი; ომი თუ მორიგება საბჭოთა რუსეთთან! პირველი საშუალება როგორც ვთქვით არ არსებობს ევროპისათვის დღევანდელ პირობებში და მეორე კი, ნებით თუ უნებლიეთ მისაღები დარჩა.

რა პროცესშია დღეს ნამდვილი საქმის მდგომარეობა?

— ვაჭრობაში, მოლაპარაკებაში.

ამის შემდეგ ბუნებრივად ისმება კითხვა—რჩება თუ არა ევროპასა და რუსეთ შორის საკითხი—ინტერვენციისა? რასაკვირველია არა. იგი მოხსნილია.

როგორია ლოღიკური დასკვნა?

ანტანტა ვაჭარია, ანტანტა თაღლითია, ანტანტა გაიძვერა და პატარა ერების მტერია!

აი ჩვენი ძველი ლოზუნგი, ამ ლოზუნგებით გამოვდივართ დღესაც ჩვენს ხალხში და ვამბობთ:

— ძირს ანტანტა! გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას!

ასეთი იყო ჩვენი მემარცხენე სოც.-ფედერალისტების გაგება მომენტის შეფასებაში და საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებაში და ასეთი იყო არა მარტო ჩვენთვის, ჩვენი პარტიისთვის, არამედ იგი ჟამთა ვითარებამ ხსვებისთვისაც გასაგები გახადა.

შორს აღარ არის და დადგება დრო, როდესაც ჩვენი ორიენტაცია და გაგება მორიგ საკითხად გახდება არა მარტო ჩვენი ყოფილი ამხანაგების მემარჯვენე ფედერალისტებისთვის, არამედ ყველა იმ სოციალისტურ მიმდინარეობისთვისაც ვისაც შერჩენია პატარა სინიდისი და ვისაც ჯერ კიდევ ხელი არ აუღია ქართველ მშრომელი ხალხის სამსახურზე. ამის რწმენას ჩვენ არ ვკარგავთ. ეს უეჭველად სახვალიო საკითხია და აქ ვეკითხებით ჩვენს ყოფილ ამხანაგებს, იმ ხალხს, რომელნიც, ჩვენ „მემარცხენეობისათვის“ „პოლიტიკურ ბოიკოტს“ გვიცხადებენ, რას ეტყვიან ხვალ ქართველ ხალხს? შესწევთ თუ არა „რევოლიუციონური“ გამბედაობა

უთხრან: „ოქტანჯული ქართველო ხალხო, ანტანტამ ბრალეული დაგვშველით, ანტანტამ გიღალატათ.

როგორ, ან როდის უნდა გამოუტანოთ „განათლებულ“ ანტანტის განაჩენი ქართველ ხალხს? გამოიჩინეთ ისეთი რევოლიუციონური გამბედაობა, როგორც ეს შეჰფერის ნამდვილ ქართველ ხალხის რევოლიუციონურ ბუნებას და სთქვით:—თქვენ კვლავ სდუმხართ? კვლავ ბოიკოტი? კეთილი, განაგრძე, მაგრამ დაიხსომეთ კი, რომ ხვალ ეს „პოლიტიკური ბოიკოტი“ თქვენვე დაგიბრუნდებათ, მაგრამ ჩვენგან კი არა—თვით ქართველ მშრომელ ხალხისაგან, იმ ხალხისაგან, რომელსაც დღეს თქვენ თავს ესფიცებით.

ასოთ ამწყობი დ. მელაშვილი.

# იმპერიალიზმის აგენტი ი. ბრაუნტალი „კომუნისტურ საქართველოს შესახებ“

იყო ერთი „მწერალი ქალი—პარიზელი, ბურჟუაზიულ ბანკირიან, ახალგაზრდა ქალი, ვინმე ოდეტტკენი, რომელმაც მოისურვა იაზონად გადაქცევა: ჩავიდა კოლხეთში (საქართველოში) ჯერ კიდევ მენშევიკების დროს, მისთხოვდა ცოლად ბრწყინვალე ქართველ აზნაურს, წერეთელს და დარჩა რა იქვე ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგაც, მიიღო რადგაც „მივლინება“ კონსტანტინოპოლში, სადაც ინგლისელები „რატომ ღაც“ გაგზავნეს იგი ოდესაში, საიდანაც ის იქნა გადაგზავნილი ხარკოვში. მისი და ქმრის წერეთლის თხოვნით ის გაიგზავნა „სახელმწიფო ხარჯით“ მოსკოვიდან საბჭოთა დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკაში.

ის ჩქარა მოევლინა პარიზის ჟურნალებს. და როგორც მსუბუქი ჟანრის და სტილის მწერალმა—ნამდვილმა ტურისტმა (ვშიშობთ არავინ მიუმატოს ამ სიტყვას „ავან“), წარმოშვა, ვითომდა საბჭოთა საქართველოს „მისი მეგობრებისათვის“ სრულებით მოულოდნელად მთელი ბროშიურა, რომელიც სავსეა ინსინუაციებით. საბჭოთა ხელისუფლების და რუსეთის დიდი ფედერაციის წინააღმდეგ...

1922 წელში ჩამოვიდა საბჭოთა საქართველოში როგორც „ქვეყანმოქმედი“, ვინმე „ამსტერდამელი“ ი. ბრაუნტალი. ხოლო ბოლოს და ბოლოს, მანაც როგორც ერთგულმა აგენტმა იმპერიალიზმისა, ევროპაში დაბრუნების შემდეგ, საცოდავ ავსტრიაში, შექმნა განგაში 2 ნახ. ინტერნაციონალის მიმდევარის ფრიც ადლერის გაზეთში და მოათავსა მთელი რიგი წერილებისა (რომელიც ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის და რა თქმა უნდა, როგორც პარიზელი ქალი, კენი, გამოსცემს ცალკე ბროშიურად), რომელიც სავსეა ინსინუაციებით საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, აი სათაურები მისი წერილებისა: 1. კატასტროფიული მალარია საქართველოში, 2. შიმშილი და წარმოების დაცემა, 3. ერთით დაშლა, 4. მუშათა კლასის მდგომარეობა, 5. ხუნდებ დადებული თავისუფლება, 6. რაცხორ გაკომუნისტდა საქართველო, 7. ბრძოლა სვანეთისათვის.

ჯერ მარტო სათაურები ამ იმპერიალისტური სულით გაჟღენთილი წერილებისა, აშკარავებს, რომ ტყუილად იმოგზაურა ავტორმა საქართველოში.

ავიღოთ ბ-ტონ ბრაუნტალის წერილების პირველი სათაური: „კატასტროფიული მალარია საქართველოში“ ნუთუ იმან, რომელიც დარჩა კაპიტალისტურ ევროპაში, არ იცოდა, რომ მდინარე რიონის ნაპირები (დასავლეთ საქართველო)—მალარიიანი ადგილებია, ისევე როგორც მდ. განგის დელტის ზოლები ხოლერიანია, ხოლო ამ ქვეყნის ოლ გის სანაპირო გუბერნიები რუსეთში—დამშეულია?

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ძველი „ცოდვების“, ბუნების უბედურებათა მიწერა—ეს მეტის მეტად ქვეყანაზე დამშორებული საქმეა.

რა თქმა უნდა მოქ. ბრაუნტალი არას ამბობს იმის შესახებ, რომ 1921 წლის მარტში, საქართველოს მენშევიკებმა ბათუმიდან გაქცევის დროს, საფრანგეთის ნაღმოსანი გემების მფარველობით, გაიტაცეს ყველაფერი, რაც რამ დარჩა საქართველოში 3 წლის ძარცვის შემდეგ და აგრეთვე ქინაქინის მთელი მარაგი, რომელიც არის ერთად ერთი საშუალება მალარიის წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოს დაბლა ადგილების და მცხოვრებისათვის.

მას კი ნებავს დააგინჯუნოს ჩვენ ფდუთიაქების ნაციონალიზაციისათვის...

შემდეგ „შიმშილობა და წარმოების დაცემა“, აი ეთი სათაური აქვს მეორე წერილს...

საწყალი კაცი ბრძანდებით, ბატონო ბრაუნტალო?

ნუ თუ თქვენ არ იცით, რომ 1918—20 წლებში, მენშევიკების დროს და სტიქიურ უბედურებათა გარეშეც, საქართველოში მეტი სიმშილობა იყო და წარმოების უფრო მეტი დაცემაც, მუშათა და გლეხობის და სომხეთის წინააღმდეგ მენშევიკების დაუსრულებელ სამოქალაქო ომების წყალობით.

და აი, ჩქარა 1 ნახევარი წელი გათავდება საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან, საქართველოში არ ყოფილა არც ერთი დღე, არც ერთი საათი არც სამოქალაქო და არც საგარეო ომები. ნუ თუ თქვენ არ იცით, მოქ. ბრაუნტალო, რომ ყირიმზე უფრო ქვეყანი ქართველი მენშევიკი ნოე ჟორდანია სჩივოდა თავის თანამებრძოლთა წინაშე და კაუტსკის საქართველოში ყოფნის დროს, საქართველოს საბჭოთა გადატრიალების წინადღეებში, რომ საქართველო (მენშევიკური) კატასტროფიულ მდგომარეობაშია, არ აქვს გამოსავალი არც ეკონომიური და არც პოლიტიკური მხრით! ასე ლაპარაკობდენ მენშევიკები თავიანთ საპარლამენტო პარტიულ კრებებზე, ამის შესახებ სწერდენ ტფილისის გაზეთები 1920 წლის დამლევს და 1921 წლის იანვარ-თებერვალში. ხოლო საქართველოს გადატრიალება იწყება თებერვლის ბოლო რიცხვებიდან კიდევ უფრო კურიოზულია თქვენი მეხუთე წერილის სათაური, მოქ. ბრაუნტალო: „ხუნდებ დადებული თავისუფლება“.

ერთი ვიკითხოთ, თქვენთან, ევროპაში როგორია მდგომარეობა.

პოლონეთის, ავსტრიის, რუმინიის საფრანგეთის, გერმანიის და სხვა ციხეები ავსილია კომუნისტებით. სიკვდილით დასჯა გაფიცულ მუშებისა ისპანიაში, ამერიკაში და „წმინდა დემოკრატიის“ სხვა ქვეყნებში, გეცნენოდეთ, მოქ. ბრაუნტალო, თუ შესძლებთ ამას.

უკანასკნელი სათაური—„ბრძოლა სვანეთისათვის“.

ბ. ბრაუნტალი შეიყვანეს შეცდომაში მისმა გამგზავნელებმა.

იქ, სვანეთში, მეფობის დროს და მენშევიკების დროს დარჩა თითქმის ხელუხლებელი პატრიარქალური ბატონყმური ცხოვრება და მცხოვრებთა გაუნათლებლობა, რომელსაც ხელს უწყობს ფეოდალური წინამძღოლები და რელიგიური ფანატიკოსები. რა თქმა უნდა, იქ ვერ მოასწრო შეჭრა ბოლშევიზმმა გადატრიალებამდე, მაგრამ იქ შევიდნენ ფეოდალური და არაფეოდალური მენშევიკები, რომელთაც გაქცევა ვერ მოასწრეს. უთ აი, როგორც ეს მოხდა რუსეთში და უკრაინაში, სვანეთშიაც შეიქნენ პატარ-პატარა ბანდები, რომელთაც წამოაყენეს სხვა და სხვა დემოკრატიული ლოზუნგები მენშევიკების პროგრამიდან, ლოზუნგები წმინდა ბურჟუაზიული, ნაციონალისტური და შოვინისტური ხასიათისა.

საკმარისი იყო მოსულიყო იქ ერთი უიარაღო ჩვენი ამხანაგი, საქართველოს მუშათა წინამძღოლი, მუშა ლადო დუმბაძე და განემარტებინა გლეხებისათვის საბჭოთა ხელისუფლების შინაარსი, რომ შეურიგებელი ბანდიტები გაქცეულიყვნენ და შეეფარებინათ თავი ზემო სვანეთის ხეობებში.

თქვენი რელიაციები ბოლშევიკების სამხედრო მოქმედების შესახებ სვანეთში და სხვა დანარჩენი ზღაპრები „წითელ არმიელების მხეცობათა“ შესახებ რომელიც თქვენ გაცნობეს ჟორდანიას, წერეთელს და სხვათა აგენტებმა, ვერავის ვერ აუხვევს თვალებს, თუნდაც თქვენს კაპიტალისტურ ევროპაშიაც, სადაც თეთრგვარდიელთა პრესა სთხზავს წითელ მოსკოვის და რუსეთის დიდი ფედერაციის შესახებ ამაზე უარეს ფანტაზიებს.

„იზვესტია“ მიხა ცხაკაია.

# ესერების პროცესი

მოსკოვი. 20 ივლისი. 19 ივლისის საღამოს სხდომაზე გოცი იტყობინება, რომ მისი მოსკოვში ყოფნის დროს მან ინახულა სემიონოვი მხოლოდ ერთხელ, გამგზავრების წინა დღეებში. საუბრის დროს გოცმა ჰკითხა სემიონოვს, თუ როგორ უცქერის ცეკა ტერორს, შესცვალა თუ არა მან თავისი აზრი ფრონტის გახსნის გამო. სემიონოვმა უპასუხა, რომ თებერვლის დადგენილება რჩება ძალაში, ვინაიდან სხვა დადგენილება არ იყო.

კონოპლიოვა მხოლოდ ერთხელ იყო გოცის აგარაკზე, გოცს მასთან არ ულაპარაკნია, ვინაიდან კონოპლიოვა მივიდა მასთან მხოლოდ გამოსათხოვებლად ყაზანში გამგზავრების წინ. პენზაში ჩასული ტისლენკო ელაპარაკებოდა ტიმოფეევს ტერორის შესახებ და არ უთხრა, რომ ჩამოვიდა მებრძოლ ჯგუფის დავალებით, რომელმაც მოამზადა მოაწყო ტერორისტული აქტი ლენინის წინააღმდეგ. ტიმოფეევმა უპასუხა ტისლენკოს, რომ ცეკა უარყოფითად უცქერის ტერორს. ტიმოფეევი ამის შესახებ ელაპარაკა გოცს, რომელიც მას სავსებით დაეთანხმა.

შემდეგ გოცი განმარტავს, რომ მან მხოლოდ გაზეთების საშუალებით გაიგო, რომ ლენინზე თავდასხმა მოაწყო კაპლანმა. წინად ის არასოდეს არ შეხვედრია მას და მის კავშირის შესახებ სემიონოვთან არაფერი არ იცოდა, მაგრამ გოცს ბუნდოვანი ეჭვი შეეპარა ლენინზე თავდასხმაში სემიონოვის მონაწილეობის შესახებ.

**გოცის ჩვენება.**

დაშევსკის მოთხოვნით აქვეყნებენ იმ წერილის ზოგიერთ ადგილებს, რომელიც დაიბეჭდა ესერების ბერლინის გაზეთში „გოლოს როსიაში“, სადაც მოყვანილია ტისლენკოს მტკიცება, რომ ის ჩავიდა პენზაში ტერორისტული ჯგუფის შემუშავებული რეზოლიუციით, რომელიც მოითხოვს ცეკასაგან მის მიერ მოწყობილ ამბების აღიარებას. შემდეგ წერილში აღნიშნულია ცეკას უარყოფითი პასუხი, რომელიც ტისლენკომ მიიღო.

გოცი აცხადებს, რომ წერილის ეს ნაწილი სრულებით არ ეთანხმება სინამდვილეს... ... ხოვნით ტერორისტულ ... ფორმალურ საკითხის ოქმში (გამოტოვებულია).

**ს. დონსკოის ჩვენება.**

გოცის შემდეგ განმარტებით გამოდის დონსკოი, რომელიც აცხადებს, რომ სემიონოვი გაემგზავრა სარატოვში, დაჰყო იქ 2—3 დღე და მისცა დონსკოის პარტიზანულ რაზმის ორგანიზაციის გეგმა, რომელიც მუშავდებოდა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად. დონსკოიმ წინადადება მისცა მას ემუშავა საოლქო კომიტეტში, რომელზედაც სემიონოვი არ დასთანხმდა და გაემგზავრა მოსკოვში. როდესაც დონსკოი ჩავიდა მოსკოვში მან გაიგო სემიონოვის განზრახვა, გაანთავისუფლონ გოცი მხლებელთა რაზმზე თავდასხმის საშუალებით. სემიონოვთან შეხვედრის დროს, პირველმა განუცხადა დონსკოის, რომ მას სურს ჩაეწეროს რაზმში (გამოტოვებულია) დონსკოიმ მოისურვა კაპლანთან შეხვედრა. სემიონოვმა მოუწყო მას კაპლანთან შეხვედრა, სადაც აგრეთვე დაესწრო სემიონოვი. შეხვედრის დროს კაპლანი ელაპარაკა დონსკოის ტერორისტული აქტის მოწყობის სურვილის შესახებ. დონსკოი ირწმუნება, რომ მან გადაჭრით განუცხადა კაპლანს, რომ ესერების პარტია ტერორის წინააღმდეგია და ამით ის დარჩება პარტიის გარეშე. როდესაც მოხდა ლენინზე თავდასხმა, დონსკოიმ მაშინვე აიღო ეჭვი იმის შესახებ, რომ ამ აქტის სისრულეში მომყვანი არის კაპლანი. მისი ეჭვები გამართლდა გაზეთების ცნობებითაც. ამ დროს დაიწყო ესერების ორგანიზაციების დარბევა. დონსკოიმ ვერ მოახერხა შეხვედრა ცეკას ვერც ერთ წევრთან. მაგრამ მეორე დღეს, როდესაც ის შეხვდა ცეკას ერთ-ერთ წევრს, დონსკოიმ უამბო მას კაპლანთან შეხვედრის შესახებ და მათ მაშინ გადასწყვიტეს გამოაცხადონ პრესაში, რომ ესერების პარტიას არავითარი ბრალი არ უდევს ლენინზე თავდასხმაში.

შემდეგი შეხვედრის დროს სემიონოვმა უამბო დონსკოის, რომ ის უწევდა კაპლანს ტეხნიკურ დახმარებას, გადასცა რევოლვერი. სემიო-

# სატირიკონი
## (გაზეთი გაზეთში) № 13

ყოველ კვირეული იუმორისტული გამოცემა

### საავარაკო მოთხრობა

ძალიან შეგვაწუხა სიცხემ ბოლო დროს ტფილისელები. არც ქალაქში ცხოვრება შეიძლება სიცხის გამო და არც საავარაკოთ წასვლა ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამო, რომელიც სიცხეზე უარეს დღეს გვაყენებს.

გადავსწყვიტე წავსულიყავ ერთ ერთ სოფელში ტფილისის ახლო და ავიმოსმეჩინა იაფი ბინა. შემთხვევით ნახვდა ჩემი მეგობარი ატაკუტა და ორივენი გავუდექით გზას.

დილა იყო ისეთი, რომ მისი მსგავსი არა ერთი ჩვენი პოეტის ლექსები არ წამიკითხავს. მხოლოდ ვირები, რომლითაც სოფლელებს მაწონი მოჰქონდათ ტფილისისაკენ, მოგვაგონებდათ რომ გვეტაძეს,

გზაში დავეწიეთ ერთი დედაკაცი. ქალაქში რძე გაეყიდა და უკან მიდიოდა. ძალიან ჩქაროდა. როცა დავეწიეთ, დაგვზვერა და სიარულს უკლო ასეთი უბრალო საშუალებით სამი აცნობა გი შევიქენით.

— გმადლობთ კეთილი სურვილისათვის! ეგებ არც ვინანოთ.

ჩვენ ლაპარაკზე ქალს ეშმაკურად ეცინებოდა. ვერ შევიტყობდით: თავს იქერდა სიცილისაგან, თუ განგებ ცდილობდა გაცინებით.

— ვინა ხარ, ქალო და სად ყოფილხარ ასე ადრე? შევეკითხე უცნობ თანამგზავრს.

— მე სოფლელი გახლავარ, რძე ჩავიტანე ქალაქში და ეხლა სახლშივე ვბრუნდები; იყო პასუხი.

— ალბად კაცი არავინა გყავს, ქვრივი იქნები? თანაგრძნობით შეეკითხა ატაკუტა და თანაც მე თვალი მიყო ქალს ეს არ გამოპარვია.

— მყავანან, როგორ არა. არა, ქვრივი ვარ, მაგრამ მოგეხსენებათ საწყალი კაცის საქმე... წვრილი შვილები მყავანან. რჩენა გვჭირს. შარშანდელმა მოუსავლიანობამ წელში გაგვწყვიტა.

— რაც უნდა იყოს, ეგ ვერაფერი ვაჟკაცობაა: ცოლი ქალაქში გაგზავნო რძით დატვირთული. ვინ იცის რამდენ ოხრებს გადაეყრება,—ვუთანაგრძნე მეც ატაკუტას ჯიბრზე.

— რა მიშავს, ვის უნდა გადავეყარო? გულუბრყვილოთ იკითხა ქალმა.

— აი თუ გინდა ჩვენ! ჩაერია ისევ ატაკუტა. რა იცით, ვინა ვართ. განსაკუთრებით ეს ჩემი მეგობარი, წკიპურტა ისეთი ვინმეა რომმა...

ქალმა არაფერი სთქვა. არ ვიცი გაიცინა, თუ ამოიოხრა. ჩვენ უხერხულობა ვიგრძენით. შევეცრცხვა, რომ სოფლის დედაკაცს აუხირდით.

ერთხანს სიჩუმით ვიარეთ. მივუახლოვდით სოფელს. გზის პირას წყარო იყო. იქვე სოფლის ნახირს მოეყარა თავი.

— დაისვენეთ ჩრდილში, წყალიც დალიეთ, თუ გნებავთ! წინადადება მოგვცა ქალმა.

სიამოვნებით დავეთანხმეთ და დავსხედით.

— გეტყობათ ოთახებზედ მოდიხართ სოფელში, შეგვეკითხა ქალი.

— ჰო, ძალიან სიცხეები დაიწყო და გვინდა სოფლად სუფთა ჰაერზედ დავისვენოთ, მოვასწრო პასუხი ატაკუტამ.

— კარგია რა გიშავთ, ჩაილაპარაკა ქალმა და გულმკერდი გაიხსნა.

— ვიშოვით ოთახებს? შეეკითხა ატაკუტა და ახლოს მიიწია ქალისაკენ თანაც მსუნაგი თვალებით გულმკერდში ჩასცქეროდა.

— რატომაც არა, ოთახები ბევრია.

— მართლა? გაუხარდა ატაკუტას. ხომ არ შეგვიძლია დაგვეხმარო; გვინდა როგორმე ვიშოვოთ იაფი ოთახები.

— გიშოვით, რაც არა. რამდენი ოთახი გინდათ?

— ერთი ან ორი.

ქალს ოფლი სდიოდა. დიდი სახოცით მკერდს იმშრალებდა, რათა ატაკუტას ძლიერ აღიზიანებდა.

— არა, ისევ უნდა წავართვა ატაკუტას დამა თქო, გადავსწყვიტე და თბილი თანაგრძნობის კილოთი შევეკითხე: გეტყობა ძალიან დაიცხა: რატომ სხვა არავინ გამოგზავნე ქალაქში? რას აკეთებს შენი ქმარი;

— კიდევ! გაეჯავრდა ატაკუტა—რას ჩააცივდი ამ ქმარს, რაში გეკითხება ერთი მითხარი.

— როგორ თუ რაში მეკითხება? განა ცოლი რომ არის და სუსტია, იმიტომ ყველაფერი უნდა აკეთოს—მივმართე მე დემაგოგიას.

— ხომ მოგეხსენებათ, რაკი ქალი ქმარს ერთხელ შერჩება, მერე ქმარი სულ თავზედ ცადაჯდებათ,—უკმაყოფილოდ ამბობდა ქალი და ეტყობოდა ქმრის სიძულვილი.—გუშინ თვითონ დღეობაში წავიდა და ადარ დაბრუნებულა. დღეს მე მომიხდა რძის ჩატანა...

— საწყალი ქალი! წამოიძახა ყალბი თანაგრძნობით ატაკუტამ.

— თითონ თქვენ ხომ არ გექნებათ ოთახი გასაქირავებელი, შევეკითხე ქალს შეპარვით.

— გვაქვს, როგორ არა, მაგრამ არ ვიცი თუ მოგეწონებათ...

— როგორ არა, უეჭველად მოგვეწონება! წამოიძახა გახარებულმა ატაკუტამ.

ძლიერ კარგი! ავიდეთ ვნახოთ და... ქალი წამოდგა. ჩვენც ავდექით და გავსწიეთ უფრო ჩქარი ნაბიჯით.

ჯვიხაროდა რომ ასეთი დამა გვეყოლება დიასახლისად. ქმრის უკმაყოფილო. ქმარიც ხშირად დღეობებში მოსიარულე. მეტი რაღა გინდა ხელმოკლე მოაგარაკეს? ათასნაირი სიამოვნება და „ტრიუკები“ გვეხატებოდა წარმოდგენაში. ოთახების მოწონება და დაქირავება უკვე გადაწყვეტილი იყო. სანამ ვნახავდით და საქმეს გავათავებდით ერთი სული გვქონდა.

მივაღწიეთ სოფელს.

— კიდევ შორია თქვენი სახლი? მოუთმენლად შეეკითხა ატაკუტა.

— არა, ახლოსა ვართ. აქავე სოფლის თავში. ძალიან კაი ადგილია. ვიცი მოგეწონებათ. შევედით სოფელში. წინ შემოგვეგებნენ გახარებული ბავშვები.

— დედა, ჩვენსას სტუმრებია!

— დედა, მამამ ვირი მოიყვანა! თითქმის ერთხმად მიაძახეს ბავშვებმა.

— ვინ სტუმრებია, შვილო? შეეკითხა დედა უფროსს და თუნუქის ქურქელი გადასცა წასაღებად.

— ვილაცები მოვიდნენ დღეს და მამაც ოთახები მიაქირავა.

— მამამ, დედა, ვირი უყიდია! ქმ მოიყვანა! აწი რძე ამით უნდა ვზიდო ქალაქშიო.

ჩვენ ერთმანეთ შევხედეთ. ქალი სწრაფად დაგვშორდა და გასწია სახლისაკენ, რომელიც სულ ახლოს აღმოჩნდა.

— რა ვირია ზოგიერთი ქმარი! წაიბუტბუტა უკრებ ჩამოყრილმა ატაკუტამ.

წკიპურტა

### მეოცე საუკუნის პოეტების ლექსები შეკრებილი ზეჟან ხლუსტის მიერ*).

1.

ტფილისი თქვენს თვალებს
არ ცნახება.
საოცრად გამრავლდენ ჯვაწვალებს
გლეხები.
კარადარვიშის ნიშნების გამყიდავი სტუდენტიც
დადის ნ ხევრად ტიტველი.
რადგან ჩვენს დედაქალაქში იშვიათია კაცი
წიგნების მყიდველი.
ელექტრონის ძალის სიმცირის გამო,
ქუჩებში არის მკრთალი განათება.
ნაშუადღევს სოლოლაკში დადიან
ფრაკში ჩაცმული საქეფო ფავნები და მენადები.
თქვენ ალბათ სოფელში ნახულობთ ფერიას,
მე მინდა არგვეთში ჩავიდე და ნახშირი წავსცხო კერიას.

პაოლო იაშვილი.

2.

ნაზ ვირების რასა გადაგვარდა ხარკით—
მადონებს იმათი მონური წამება.
დღეს ჩემი ცხოვრებაც ვგრძნობ არ არის კარგი—
და მსურს დავაარსო ვირების სამეფო.

რაჟდენ გვეტაძე.

*) დიდათ პატივცემულმა ჩვენმა თანამშრომელმა ზეჟან ხლუსტმა აქ დაბეჭდილ ლექსების გარდა გამოგზავნა დასაბეჭდათ გრიგოლ რობაქიძის ლექსები, მაგრამ რადგაც ზედათ იმ წუთს ჩვენს რედაქციაში იმყოფებოდა ცნობილი ისტორიკოსი ს. კაკაბაძე, რომელმაც ტექსტის სისწორეში ეჭვი შეიტანა. მიტომ ჩვენ თავი შევიკავეთ ლექსის ამ ნომერში დაბეჭდვისაგან. შემდეგ ნომრისათვის საქმე ალბათ გამოირკვევა.

რედ.

ნოვი გამოვიდა მაშინ წინადადებით ტერორისტულ აქტების მოწყობის შესახებ, ხოლო ისე, რომ ეს აქტები უნდა ხორციელდებოდეს სოციალისტ-რევოლიუციონერების ჯგუფის სახელით.

დონსკოიმ კატეგორიული უარი განაცხადა ამაზე და უთხრა სემიონოვს, რომ თუ სემიონოვს სურს მოიქცეს ანარქისტულად, მაშინ დეე ანარქისტებიდან ისესხოს თვისი ორგანიზაციის სახელწოდება. დონსკოი მოუთხრობს, რომ ეს ლაპარაკი ამაღლებული ტონით სწარმოებდა. სემიონოვი უსაყვედურებდა ცეკას, რომ ის უარყოფდა ყველა მომხდარ აქტებს.

დონსკოის აძლევენ მთელ რიგ შეკითხვებს. სხვათა შორის ბრალდებული სტავსკაია ეკითხება დონსკოის იმ საუბრის შესახებ რომელიც მოხდა მათ შორის კაპლანის თაობაზე. დონსკოი ირწმუნება, რომ კაპლანი მოიქცა მისი რჩევით და მოქმედებდა საკუთარ ბედზე დაყრდნობილი.

ტრიბუნალი ჰაქვეყნებს კრილენკოს მოთხოვნით სტავსკაიას ჩვენებას, რომელიც მას ჩამოართვეს წინასწარ ძიების დროს, ამ ჩვენებაში ნათქვამია, რომ ცეკას არ შეეძლო აღიარებინა აქტი, ვინაიდან ეშინოდა ორგანიზაციის არჩევისა, დონსკოი უარს ამბობს სტავსკაიას ჩვენებაზე. კრილენკო მოითხოვს პირისპირ დაყენებას.

**მოსკოვი.** 21 ივლისი. 20 ივლისის დილის სხდომაზე ტიმოფეევი მოუთხრობს სასამართლოს: მოსკოვში დაბრუნების შემდეგ სემიონოვმა უთხრა ტიმოფეევს არ გაეგზავნა ფრონტზე მებრძოლი რაზმი და დაეტოვებინა იგი მოსკოვში შესაძლებელ ტერორისტულ მოქმედებისათვის. ტიმოფეევმა უპასუხა სემიონოვს, რომ ტერორი არ დგას პარტიის დღის წესრიგში სამი მიზეზის გამო: 1) ბოლშევიკების პარტია—სოციალისტური პარტიაა და მაშინ იგი არ გამოსულა ინტერნაციონალიდან. 2) ესერებს არ სურდათ ბოლშევიკები გაეხადათ ნაწამებ პარტიად, და 3) ესერების პარტია აწარმოებდა მაშინ აშკარა შეიარაღებულ ბრძოლას ბოლშევიკების წინააღმდეგ და აშკარა ბრძოლის ხანაში მას დაუშვებლად მიაჩნდა ტერორი. ტიმოფეევი გაოცებულია, რატომ ლაპარაკობდა სემიონოვი ლენინზე და ტროცკიზე განზრახულ თავდასხმის შესახებ არა მასთან, ტიმოფეევთან, რომელიც იყო ცეკას რწმუნებული, არამედ გოცთან რომელიც იმალებოდა აგარაკზე მოსკოვის მახლობლად.

გოცის დაპატიმრების შემდეგ სემიონოვმა წინადადება მისცა ტიმოფეევს მოეწყო დაცემა დაპატიმრებულ გოცის განსათავისუფლებლად, მებრძოლი რაზმის დახმარებით, რაზედაც ტიმოფეევი დასთანხმდა. ტიმოფეევი დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა გოცის განთავისუფლებას და სახავდა აგრეთვე ივანოვს მიეღო მონაწილეობა ამ თავდასხმის მოწყობაში, გოცის განთავისუფლება აღარ იყო საჭირო, რადგან გოცი თვით გაიქცა სემიონოვის რაზმის დაუხმარებლად, სემიონოვი განმეორებით მიმართავს ტიმოფეევს წინადადებით რაზმის დატოვების შესახებ. ტიმოფეევი წავიდა ტერორის წინააღმდეგ მაგრამ ამ შემთხვევაში დასთანხმდა რაზმის დატოვებაზე და მისცა წინადადება სემიონოვს გაეგზავნა რაზმი ფრონტზე ან მისი დახმარებით მოეწყოთ რამდენიმე დეზორგანიზაციული სურათის აქტი. ტიმოფეევი ამბობს, რომ მან სემიონოვს მიუთითა ოქროთ დატვირთული მატარებლის აფეთქების შესაძლებლობაზე, რომელიც იგზავნებოდა გერმანიაში.

ლენინზე თავდასხმის შემდეგ, პენზაში, სადაც მაშინ იმყოფებოდა ტიმოფეევი, ჩავიდა ტისლენკო.

ტისლენკომ განუცხადა ტიმოფეევს რომ მებრძოლი რაზმის ყველა წევრები აღშფოთებული არიან პარტიის ლენინზე თავდასხმის უარყოფის გამო. ტისლენკომ სთხოვა ტიმოფეევს გამოერკვია დაუფარველობა და ეთქვა, თუ როგორ უყურებს პარტია ტერორისტულ აქტებს საზოგადოდ. იმის შემდეგ, როცა ტიმოფეევმა გამოაშკარავა პარტიის პოზიცია, ტისლენკომ მოაწყო ავტონომიური ჯგუფი, რომელსაც უნდა ეწარმოებინა ტერორისტული აქტები დამოუკიდებლად პარტიის სახელით, ტიმოფეევმა უარყოფით შეხედა ამ ახალ პროექტსაც, ტისლენკო დაჟინებით მოითხოვდა ცეკას დაენახა ჩვენი წევრების გზის გაგება. ტიმოფეევი მოელაპარაკა გოცს, რომელიც სავსებით დაეთანხმა მას. ტიმოფეევი კატეგორიულად ამბობს, რომ სამხედრო მუშაობას მოსკოვში აწარმოებდა ის—ტიმოფეევი და არა გოცი.

კრილენკო მიუთითებს ტიმოფეევის და ევგენია რატნერის ჩვენების წინააღმდეგობაზე. ევგენია რატნერმა წინად განაცხადა, რომ ესერები შესაძლებლად სთვლიდენ ტერორის ხმარებას ბოლშევიკებისადმი თავდაცვის მიზნით. გოცმა გუშინ განაცხადა,—სთქვა კრილენკომ, რომ ტისლენკო აწარმოებდა მოლაპარაკებას ტიმოფეევთან პენზაში სხოლოდ და მხოლოდ ეკონომიური საკითხის შესახებ და არ შეეხება ლენინზე თავდასხმას. ხოლო ტიმოფეევი დღეს ამტკიცებს, რომ ტისლენკო ელაპარაკებოდა მას ლენინზე თავდასხმის შესახებ.

ბრალდებული დაშევსკი ეკითხება ტიმოფეევს როგორ შეხედა ესერების პარტიამ, როდესაც მან გაიგო სემიონოვის მონაწილეობის შესახებ ლენინზე თავდასხმაში და რა ზომები იქნა მიღებული, რომ ასეთ შემთხვევებს მომავალში ადგილი აღარ ქონოდა და იყო თუ არა მიღებული რაიმე რეზოლიუცია ტერორის აკრძალვის შესახებ. ტიმოფეევი უპასუხებს, რომ ტერორის აკრძალვის რეზოლიუცია ცეკას არ მიუღია და რომ პარტიას არ დაუსვამს დღის წესრიგში საკითხი ტერორის შესახებ.

# გერმანიის ამბები

**პრუსიის კაბინეტის გადადგომა**

**ნაუენი,** 20 ივლისი. რესპუბლიკის დაცვის კანონის მიღების გამო, პრუსიის კაბინეტი გადადგა.

**განხეთქილება ნაციონალისტების შორის**

**ნაუენი,** 20 ივლისი. გერმანიის ნაციონალურმა პარტიამ გარიცხა თავის რიგებიდან მაიორი გენიგი, რომელიც მხარს უჭერდა უკიდურეს რადიკალურ შეხედულებებს. როგორც სჩანს რადიკალები დაარსებენ ცალკე ნაციონალურ პარტიას.

**თავდაცვის კანონპროექტის დამტკიცება**

**რომი,** 20 ივლისი. რეიხსტაგმა მოიწონა რესპუბლიკის დაცვის კანონ-პროექტი 303 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 107 ხმისა.

**ფინანსიური საკითხი**

**ნაუენი,** 20 ივლისი. გერმანიის მთავრობასა და გარანტიათა კომისიის შორის მოხდა შეთანხმება, რომლის თანახმად ფინანსთა მინისტრმა ყოველთვის უნდა აცნობოს გარანტიათა კომისიას შემოსავალ-გასავლისა და გერმანიის ფინანსების მმართველობის მთავარ საფუძვლების შესახებ. ფინანსთა მინისტრი აწყობს კონტროლის სამმართველოს, რომლის მოქმედება შემოწმდება გარანტიათა კომისიის მიერ.

**მემორანდუმი**

**ნაუენი,** 20 ივლისი. დაასრულა რა მოლაპარაკება ბერლინში გარანტიათა კომისიამ წარუდგინა გერმანიის მთავრობის მემორანდუმი და სცნო დამაკმაყოფილებლად, ვინაიდან არც სუვერენიტეტი და არც სხვა უფლებები გერმანიისა ამ მემორანდუმში შელახული არ არის.

# ბუხარაში.

**ტაშკენტი** 20 ივლისი. ენვერ-ფაშის ავანტიურამ, რომელიც ცდილობდა ემირის ხელისუფლების აღდგენას ერთსულოვნად წინააღუდგა ბუხარის, ხორეზმის (ხივის) და თურქესტანის მშრომელი მოსახლეობა.

სამი რესპუბლიკის ცენტრალური აღმასკომები გამოცემულ მოწოდებაში მოწოდებაში მიმართავენ მშრომელ მასებს დაუყოვნებლივ ბოლო მოუღონ ამ მოვლენას. ცენტრალურ აღმასკომების და კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის მოწოდებაში გამოიწვია ბუხარის და ხივის სახანოში აღფრთოვანება, ყოველივე ზომებით და ძალღონით აწარმოებენ შეუპრალებელ ბრძოლას ანტანტის დამქაშის ენვერ-ფაშის წინააღმდეგ, რომელიც არ სარგებლობს პოპულიარობით არა თუ მშვიდობიან მცხოვრებთა შორის, არამედ თავის ჯარების შორისაც.

ენვერ ფაშის ჯარის ნაწილები ჯგუფ-ჯგუფად და თითოეულად გადმოდიან ჩვენს მხარეზე.

ჩვენი საიდუმლო აპარატი ხელს უწყობს კლასობრივ შეგნების გაღვივებას ენვერის მიერ მოსყიდულ მასებში.

# უცხოეთი

**ბარკენხედის განცხადება**

**ნაუენი.** 20 ივლ. ინგლისის ლორდ კანცლერმა ბარკენხედმა ავსტრალიის წარმომადგენლობისადმი მიმართვაში სხვათა შორის აღნიშნა რომ შეუძლებელია აღდგენილ იქნეს ევროპის ცივილიზაცია და კეთილ დღეობა მანამ, სანამ გერმანიას არ მიეცემა საშუალება სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობისა.

**გერმანია და ეგვიპტე**

**ნაუენი.** 20 ივლ. გაზ. „დეილი ტელეგრაფის“ ცნობით ეგვიპტის მთავრობამ აცნობა გერმანიის რწმუნებულს რომ გერმანიის ფაბრიკისათვის ეგვიპტეში არ არის ბაზარი, ეგვიპტეს ეკონომიურ კრიზისის გამო.

**ბავარიის მინისტრთა საბჭო**

**ნაუენი.** 20 ივლ. ბავარიის მინისტრთა საბჭომ შაბათამდე გადასდო რესპუბლიკის დაცვის საკომისიო განხილვა.

**საფრანგეთის ესკადრა დანციგში**

**ბორდო.** 20 ივლ. დანციგში ჩავიდა საფრანგეთის ესკადრა.

**შეიარაღება**

**ნაუენი** 20 ივლ. 7 პროვინცია შეიარაღდა წესრიგის დასაცავად,

**დე—ფაქტას კაბინეტის გადადგომა**

**ნაუენი.** 20 ივლ. იმის შემდეგ, როდესაც იტალიის პარლამენტმა არ მოიწონა მთავრობის პოლიტიკა, 288 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 103 ხმისა დე—ფაქტას კაბინეტი გადადგა საკითხის განხილვის დროს ფაშისტები აჯანყებით იმუქრებოდნენ, თუ მთავრობა მიმართავს მათ წინააღმდეგ ტყვიისმფრქვეველებს. რომის პოლიტიკური წრეები ფიქრობენ, რომ კომპრომისი გაახანგრძლივებს კრიზისის საბოლოო გადაწყვეტას ნოემბრამდე. მეფე ჯერჯერობით არ ლაპარაკობს გადაწყვეტილებას კაბინეტის გადადგომის შესახებ. გაზეთების ცნობით, ფაქტას მაგიერ დაინიშნება ორლანდო.

**მღელვარება კრემონში**

**რომი.** 20 ივლისი. კრემონის პრეფექტი ჩავიდა რომში დირექტივების მისაღებად, კრემონის რაიონში მომხდარ მღელვარების გამო.

**კაბინეტის გადადგომა.**

**რომი.** 20 ივლისი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ განუცხადა გუშინ მეფეს კაბინეტის გადადგომის შესახებ. მეფე დაპირდა ასწონ-დასწონოს შექმნილი მდგომარეობა. დღეს გადადგომის შესახებ მოხსენდა დეპუტატთა პალატას და სენატს. მეფე შეუდგა თათბირს სამინისტრო კრიზისის გარშემო.

**გადადგომის მიზეზი**

**რომი.** გუშინ იმ განცხადებების შემდეგ, რომელიც გააკეთა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და პარტიის ლიდერების სიტყვების შემდეგ დეპუტატთა პალატამ 253 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 89 სა მიიღო მორიგ საქმეებზე გადასვლის ფორმულა რომელიც არ იყო დამაკმაყოფილებელი მთავრობისათვის რის გამოც უკანასკნელი გადადგა.

**შანცერის მოგზაურობა.**

**რომი.** 91 ივლისი. გარეშე საქმეთა მინისტრმა შანცერმა სენატის გარეშე საქმეთა კომისიაში გააკეთა ვრცელი მოხსენება თავის მოგზაურობის შესახებ ლონდონში. იმან განაცხადა, რომ მან მიაღწია ზოგიერთ შედეგებს და აღნიშნა შესაძლებლობა სხვა საკითხებზე მოლ-პარაკების განგრძობისა.

**პოლონეთი.**

**პილსუდსკის გადადგომის გამო.**

**ნაუენი.** 21 ივლისი. პილსუდსკიმ მიიღო რა კონფერენცია, რომელმაც წარუდგინა მას ფინეთის წევრთა სია,—უარი განაცხადა პორაკანტისთან თანამშრომლობაზე. პილსუდსკიმ განაცხადა გადადგომის სურვილის შესახებ და სთქვა კორფანტის კაბინეტის შედგენის შესახებ ითათბიროს მასთან, ვინც მიანდო ეს საქმე.

**ბორდო.** 21 ივლისი. კორფანტიმ, როგორც სჩანს, მოახერხა კაბინეტის შედგენა, ხოლო პილსუდსკი აცხადებს, რომ ის გადადგება თუ კორფანტი დარჩება.

[illegible]

**ვაშინგტონი.** [illegible] განხილვის დროს ვაშინგტონის კონგრესზე სენატორ ბორამ წარმოსთქვა საყურადღებო სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ მთავრობის ფისკალურ პოლიტიკას შეუძლია მიგვიყვანოს უფრო დამღუპველ შედეგებამდის, ვიდრე მტრის შემოსევას.

„კონგრესის მთელი სესიის განმავლობაში,—სთქვა ბორამ, არ იყო მიღებული არც ერთი ზომა გადასახადების შემცირებისათვის, როგორც ჩვენ ვიცით ქვეყანაში დიდი უკმაყოფილებაა, უმთავრესად იმიტომ, რომ სახელმწიფოს დიდი გასავალი სულ უფრო და უფრო ზრდის გადასახადის ტვირთს. შეეხო რა ევროპას, ბორამ მოიგონა ლორდ ინჩკეპის სიტყვა იმაზედ, რომ ინგლისს მოელის სრული გაკოტრება, თუ იქ არ იქნება შემცირებული გასავალი და გადასახადები. ასეთივე მდგომარეობაა საფრანგეთსა და იტალიაში. ბოლოს ბორამ ასე დაასკვნა: მსოფლიო ომის შემდეგ ყველა ნაციები აღმოჩნდენ წარმოუდგენელად მძიმე ამოცანის წინაშე—რათა აღდგენილ იქმნეს შერყეული საფუძვლები სოციალ-ეკონომიური ცხოვრებისა. ჩვენ არ უნდა დავმალოთ, რომ ჩვენს ქვეყანაშიაც ხდება პოლიტიკური რევოლიუცია. ჩვენ, შეიძლება, არ ვგრძნობთ ამას აქ, ვაშინგტონში, მაგრამ მან მოაღწია ჩვენამდიც. და ასეთს პირობებში, როცა მცხოვრებთა ყველა კლასები უკმაყოფილოა, ჩვენ გვინდა კიდევ გადასახადის ტვირთი დავადგათ ამერიკის ხალხს—4-დან 5 მილიარდ დოლარამდის.

# ახალი ამბები

— **საზღვარგარეთ გამგზავრება.** ქალაქის აღმასკომის წევრი კ. კიკნაძე იგზავნება გერმანიაში სხვა და სხვა მატერიალების შესაძენათ აღმასკომისა და მისი განყოფილებისათვის.

— **ცეცხლის მქრობელი საზოგადოება.** ბრანდ მაიორმა წინადადებით მიმართა ქალაქის აღმასკომს ცეცხლის მქრობელი საგანგებო საზოგადოების შექმნის შესახებ.

— **სახალხო სასამართლოები** სახალხო სასამართლოების მოვალეობის თანამდებობაზე იუსტიციის კომისარიატის მიერ წამოყენებულია ორი კანდიდატი —ამხ გელოვანი და ა. სურგულაძე.

— **ტფილის ელექტროფიკაცია.** ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრონული სადგურის მომწყობ კომიტეტმა დაადგინა კვირეულის მოწყობა ფარების გასაყვანათ.

სადგურის უფროსისა და კომიტეტის პასუხისმგებელ მდივან ამხ თ. ღლონტს კომიტეტის მიერ დაევალა სადგურის მოსაწყობად განსაკუთრებული ობლიგაციების გამომუშავება, რომელიც უნდა დაამტკიცოს კომიტეტმა.

— **ტფილისის აღმასკომში.** აღმასკომის მდივნათ დაინიშნა ამხ. გ. ხუნდაძე.

— **სამხედრო კოოპერატივი.** სამხედრო კოოპერატივთა ცენტრალური გამგეობა შეუდგა რევიზიას რაიონულ კოოპერატივებისას.

— **ხოლერა.** 1—19 ივლისამდე ტფილისში ხოლერით ავადმყოფი გატარებულია რეგისტრაციაში 53. საექვო ავადმყოფი 19.

— **ცეკავშირის კულტ-განმანათლებელი მუშაობა.** ცეკავშირთან არსებულმა კულტურულ-განათლების კომისიამ შეადგინა გეგმა მუშაობის დაწყებისა ა. წ. 1 ოქტომბრიდან. კომისიას განზრახული აქვს სისტემატიური ლექციებისა და საუბრების გამართვა სხვა და სხვა საკითხებზე. განსაკუთრებით პოლიტიკურ, ეკონომიურ და პროფესიონალურ საკითხების შესახებ. აგრეთვე განზრახულია ექსკურსიები, როგორც ახლო რაიონებში, ისე კავკასიის მაშტაბშიაც.

**ზოოტეხნიკური სადგური.** ტფ. ქალაქის აღმასკომის მიწათ მოქმედების განყოფილების ვეტერინალურ ქვეგანყოფილება აშენებს ზოოტეხნიკურ სადგურს ყოფილ მირზოევის მამულში, ჯერჯერობით ხარჯებისათვის გადადებულია 180 მილ. მანეთი.

— **ვეტერინალური საავადმყოფო.** გასულ თვეში საავადმყოფოში მუშაობა სწარმოებდა. მიღებულ იყო ამბულატორიაში 25 ცხენი, 11 საქონელი, 39 სხვა და სხვა ცხოველი. შემოსავალი საავადმყოფოსი გადიდდა: იანვარში შემოსავალი უდრიდა 700,000 მან., ივნისში 3,770,000 მანეთამდე ავიდა ხოლო 20 ივლისამდე შემოსავალი ავიდა 4,000,000 მანეთამდე.

# პარტიაში

დღეს, 23—ივლისს, 11—საათზედ „ტრიბუნას“ რედაქციაში დანიშნულია მთავარი კომიტეტის მორიგი სხდომა.

3.

როგორც ქიმერა გამოჩნდევა აბრაკადაბრა
და უკან მოსდევს გასრესილი საწყალი ჩიბის,
მისი ცხოვრება პოეზიამ მთლად გაანადგურა.
მე ვამბობ იგი იყო ქალი ამირაჯიბის.
ჰამლეტი შავი მწუხარებით გაიპობს სცენას,
მე ოფელიას გავაცოცხლებ, მე თვით ფაკირი.
ჩვეულებრივად დაუტვირთავს დამწრეებს სმენას,
გაფრინდაშვილი, აშორდია და ხარაკირი.

ვალერიან გაფრინდაშვილი.

4.

ჩემს ბახტრიონში მესიანიზმს გააქვს დგანდგარი,
ქვევრებში ღვინო, ქონი, ერბო, ხაჭო, ნიორი.
პოლო ლექსებს სტამბაში სწერს ფეხზე მდგარი,
ძველი მწერლების წერილები სანოყიარო.
ჩემთან არიან პოეტები ნორჩნი მცხოვანნი,
რემბო და შოთა რუსთაველი მაგრამტოვანი.

გიორგი ლეონიძე.

5.

მინდა რომ მოვეწყო ავტონომიურად.
ჩვენშიც შეიძლება ცხოვრება კეთილი,
სპარსულ ნოხზე ვწევარ ეხლა აზიურად
და ძაღლი მიცქერის ყურებ აცქვეტილი.
როცა სხვა პოეტი ლექსს დასწერს კაფეში.
ნი ქვეთ! ვფიქრებ—დასდე კალმის ტარს,
„ცხენი ანგელოსით“ მინახე აფიშა,—
მეც მინდა გვირგვინი, გვირგვინი გამჭყდარი.

ტიციან ტაბიძე.

6.

კოორინა მოოვიდა,
ქვე ოქმინი ქირიმი,
კოოორინა წაავიდა,
დაიჯექ და ვტირი მე.

ქ. ჭიჭინაძე.

7.

მე ევროპაში წასვლისათვის ქვას გამოვადინე წყალი,
და როგორც იქნა ვიშოვნე წასასვლელი ფული,
გზა ავირჩიე ბოსფორით გადაქარგული.
თქვენ რა იცით როგორი მიცემდა მე გული უბეში.
ერთი შეხედვით ჩემი მდგომარეობა არის უნუგეშო
ევროპაში ჯერ არ იციან ჩემი ვინაობა და ჩემი ტონი,
მაგრამ ბიჭი არ ვიქნები თუ პარიზის გაზეთებს
კუბოს ლურსმანივით არ მივაჭედე ერთი გრძელი ფელეტონი.

ნიკოლო მიწიშვილი.

8.

სალომის გამართვაზე
შეიქნა ლაპარაკი,
სადამო აღარ შესდგა
დავკარგე აგარაკი.
ნეტავი გადმოვკიდონ
ციდან
ბორჯომის ბალი,
დარდი გაქვს ერთი ციდა,
მაშინ ვაქნებოდი ლაღი.

შალვა კარმელი.

9.

მე უმიზეზოდ გალიმებულს ზარმაც ტფილისელს
მინდა ვიყო მდიდარი და არ ვმუშაობდე
არც ერთ წუთს ჩემს დღეში.
ფულები კი ამოდიოდეს ჯიბიდან
როგორც ხრეში.
ამ სურვილს რომ ვერ ვისრულებ ვარ უკმაყოფილო.
ნეტავი ჩაის მაინც მომიტანდეს
ჩემი დიასახლისი მართა
გრიგოლ ცეცხლაძე! ლექსის წერა ეს მიქარვა რამე ყოფილა!
გრიგოლ ცეცხლაძე! რა დაგემართა!

გრიგოლ ცეცხლაძე.

10.

სოფელში ტურფა და ფაქიზი ვიყავით
და მე არ მენახა აფთიაქის კარი,
ახლა ვტანჯვები კლინიკების მჯვით
და ქალაქის მტანჯავს მტვერიანი ქარი.

ლადო მაჭავარიანი.

11.

დადიხანია
რაც სპეკულიაციას ვეღრმავებ.
ფულებზე ფიქრით ჩემი წარბები
თავისთავად შეიკმუხა;
ავიღე სასტუმრო „სასახლის ნომრები“
და დავარქვი „ძველი მუზა“.
თუ ღმერთმა ჰქნა და ჩემი საქმე კარგათ წავიდა,
მოგახსენოთ მართალი,
ნიუიორკში უნდა გავაკეთო სალტომორტალე.
ხაბარდა წვრილო სპეკულიანტებო!

რაჟდ გოგოხია.

12.

ბოლშევიკებმა ხელში ჩამიგდეს,
მე მეზმანება ხროვა მგლების,
მეტეხში ვზივარ ვინ გამომიშვებს
ამაო არის ქნევა ხელების.

შ. ლორდელი.

13.

ბაი ტუჩს ბაზარ შაითან ყირიმზე
ვაი ფუჩს ზანზარ მაიდან პირიმზე
სადა ნაშები
სადა ხაშები
ერიკლე
თეკლე.

ს. ერთაწმინდელი

14.

ჰა ლექსები ვაიაფე,
ძლიერი და ზოგიც სუსტი:
აქ ხელს ვაწერ გახის სეფე
და კუპარი ბესიან ხლუსტი.*)

ბესიან ხლუსტი.

*) პაოლო იაშვილის გამოკვლევით ის, „რომელსაც მისის სეფობისათვის კუპარად უხმობდენ“, იყო შოთა რუსთაველი, მაგრამ სატირიკონის რედაქციას სრული საბუთი აქვს არ დაეთანხმოს პატივცემულ მკლევარს, რადგან ამ ტექსტიდან აშკარად სჩანს, რომ მისის სეფე და კუპარი ყოფილა ჩვენი თანამშრომელი ბესიან ხლუსტი და არა შოთა რუსთაველი, რომელსაც სჭერია რუსთავის ციხე; ამ აზრის არის სხვათა შორის იუსტინე აბულაძეც.

რედ.

რედაქტორი ავქსენ წერეთელი.

# პროვინციის ცხოვრება

### მუშაობა ფოთის ნავთსადგურში

თანახმად ხელშეკრულობისა, რომელიც დადებული იყო საქ. საზღვაო ტრანსპორტისა და შავი ზღვის სანაპირო ოლქის საზოგადოების შორის, ფოთის ნავთსადგურში შემოიტანეს 15.000 ფ. დონეცის ქვა-ნახშირი. ამ დღეებში ნავთსადგურში მოვა კერჩიდან მიწის მთხრელი „შუმსკი", განზრახულია ფოთის ნავთსადგურის სიღრმის გადიდება. მუშაობის სახელმძღვანელოდ გაგზავნილნი არიან საქ. საზ. ტრანსპორტის საზოგადოებისაგან უმაღლესი ტეხნიკური მეთვალყურეები. ნავთსადგურის სიღრმის გადიდებას მუშაობს აგვისტოს დამლევი მოეყვცემს ნავთსადგურში დიდი ოკეანეს გემების შესვლის შესაძლებლობას.

### სკოლის საქმე აფხაზეთში

კოდორის მაზრაში სკოლების რიცხვი შემცირდა 31—დან 25—დე. სასკოლო შენობები ინგრევა. ნაკლებობაა მასწავლებელთა ძალებისა. რომელთა უმეტესობა გადავიდა ადმინისტრატიულ დაწესებულებების სამსახურში. მიუხედავად ამისა, სახალხო განათლების განყოფილებას იმედი აქვს გახსნის ტეხნიკუმი და უზრუნველყოფს მასწავლებლებს ჯამაგირითა და ულუფით.

### სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა

ჩაქვაში დასრულდა ხიდის გენება. ახლო მომავალში განზრახულია ხიდის გაკეთება სოფ. ალამბორში. ამისათვის უკვე შეძენილია და მიტანილი ადგილზე სამშენებლო მატერიალი. ორთო—ბათომში დაწყებულია ხიდის შენობა (ქვის სისტემით), რომელიც დასრულდება სექტემბერში.

### უმუშევართა შეკავშირება

უკანასკნელ დროს ბათუმში თავი მოიყარა უმუშევართა დიდმა რაოდენობამ. რადგან არ არის სამუშაო ამიტომ შრომის კომისარიატის მიერ შეჩერებული იქნა უმუშევართა რეგისტრაცია. პირველ რიგში რეგისტრაციაში გატარდება ადგილობრივი უმუშევარნი.

### აჭარის ტყეები.

უკანასკნელ დღეებში შესდგა თათბირი აჭარის ტყეების დაცვის შესახებ—სატყეო განყოფილების გამგის თავმჯდომარეობით. ტყეების დაცვის მიზნით დადგენილ იქნა, რომ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტყეები უნდა გადავიდეს სახელმწიფოს სულ განკარგულებაში და სახელმწიფომ უნდა უპატრონოს მას. დანარჩენი კი რჩება მცხოვრებთათვის შეშისა და სამშენებლო მასალის მისაღებად. აგრეთვე გამოითქვა აზრი ხელოვნურად ტყეების გაშენების შესახებ იმ რაიონებში, სადაც ტყეები ისპობიან, მაგრამ რადგანაც ამ მიზნის განხორციელებისათვის საჭიროა დიდი მუშაობა, რომელსაც ვერ აიტანს არსებულ პირობებში სატყეო განყოფილება, მოხსნილ იქნა ეს წინადადება. სახელმწიფო ტყეებით სარგებლობის ნიხრი უნდა იქნეს ოქროს ვალიუტის ანგარიშით შედგენილი შეღავათებით მშვიდობიან დროისა.

— **წყალდიდობის შემდეგ.** ბორჯომში მომხდარ წყალდიდობის გამო დაზიანებული ელექტრონული სადგური და არხი აღდგენილია. ელექტრონის სადგური მუშაობს ნორმალურად, ქალაქი განათებულია, ენერგიას ღებულობს ყველა დაწესებულება. მუშაობა სხვა დაზიანებულ შენობებისა და დაწესებულებების აღსადგენად სწარმოებს შეუჩერებლივ. უახლოეს დროში ყველა მიყენებული ზიანი შეკეთებული იქნება.

— **მოსავალი გორის მაზრაში.** წვიმების შეჩერებისთანავე შეუდგნენ ყველგან პურის მომკას. მუშაობა ამ მიმართულებით ენერგიულად სწარმოებს, რადგან გვიან შეუდგნენ წვიმების გამო მომკას. მოსავალი კარგია. მუშა ხელი დღიურად ღირს 99 ათასი მანეთამდე. ძლიერ დაზარალდნენ ვენახი სოკოს ავადმყოფობისგან.

— **ტირიფონის არხი.** გორის აღმასკომის გაერთიანებულ პრეზიდიუმის სხდომაზე დაადგინეს შეუდგნენ უახლო მომავალში ტირიფონის მოსარწყავ არხის გაყვანას დაახლოვებით 52 ვერსის მანძილზე. არხს შეუძლია მორწყოს 30 ათას დეს., რომელზედაც გაშენებულია 40 სოფელი. კომუნალურ განყოფილებას აქვს ორი ვარიანტი პროექტისა. განზრახულია მოეწყოს ორი აკვედუკი მდ. მეჯუდაზე და პატარა ლიახვზე.

— **შენობების შეკეთება.** გორის კომუნალურმა განყოფილებამ შეუდგა შენობების შეკეთებას, რომელნიც დაზიანებული იყვნენ მიწის ძვრისაგან. ამ ჟამად სრულის წესით ხდება შეკეთება რამოდენიმე შენობისა.

# ქალაქ ტფილისის აღწერა

ქალაქის სტატისტიკურმა განყოფილებამ შეიტანა აღმასკომში დასაბუთებული მოხსენება ტფილისის აღწერის საჭიროების შესახებ მომავალ შემოდგომაზე. ქალაქ ტფილისის უკანასკნელ საერთო აღწერათ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ 1897 წლის აღწერა. მართალია, 1917 წელსაც მოხდა ტფილისის აღწერა, მაგრამ ის იყო გამოწვეული სპეციალური მიზნით სასურსათო საკითხის გამოსაკვლევად. ამიტომ 1917 წლის აღწერა ვერ იძლევა სრულ სურათს ტფილისის შესახებ.

საერთაშორისო სტატისტიკურ განყოფილების მიერ მიღებულია დადგენილება ყოველ 10 წელიწადში ერთხელ აუცილებლად მოხდეს აღწერა. ჩვენში კი 1897 წლიდან არ მომხდარა აღწერა.

სახელმწიფოს შენება. ქალაქის მეურნეობის მოწყობა, განსაკუთრებით ასეთ ხანაში, როცა ძველი ინგრევა და მის ადგილზე შენდება ახალი, წარმოუდგენელია. თუ პერიოდულათ არ იქმნა აღნუსხული ცხოვრების ის მხარეები და მოვლენანი, რომლებიც საჭიროებენ სახელმწიფოს მხრივ შესწავლას, მზრუნველობას და მოწესრიგებას.

ასაბუთებს რა სტატისტიკური განყოფილება აღწერის აუცილებელ საჭიროებას, აცხადებს აღმასკომის წინაშე, რომ დღეს ქალაქს არა აქვს არავითარი ცნობები მცხოვრებთა რაოდენობის შესახებ, სახლებისა და ბინების მდგომარეობის შესახებ და სხვა. ძველი ცნობები კი სრულიად გამოუსადეგარნი არიან დღეს, ისინი ატარებენ მხოლოდ ისტორიულ, არქივულ ხასიათს.

ვინაიდან აღწერა დიდი ხანია არ მომხდარა, სრულიად შეუძლებელი ხდება გაშუქება და შესწავლა ქალაქის ცხოვრების სხვა და სხვა მხარეების და მათი რაციონალურათ დაყენება, მაგალ., სახალხო განათლება, ჯანმრთელობა, საბინაო საკითხი და სხვა.

სტატისტიკური განყოფილების მიერ შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით აღწერაზე დაიხარჯება 1.886.885.000 მანეთი, ან 4,193 მანეთი თითოეულ ასაწერ სულზე.

ოქროს ვალიუტაზე გადმოტანით ეს შეადგენს ხარჯს თითო ასაწერ სულზე 4,2 კაპ. წინეთ კი აღწერაზე იხარჯებოდა 15 კაპეიკამდე.

# სამკურნალო გადასახადის აკრეფა

(ქალ. სტატისტიკურ განყოფილების ცნობები).

სამკურნალო გადასახადის აკრეფას ქალაქის აღმასკომი შეუდგა ა. წ. 20 მაისიდან. 15 ივლისამდე რეგისტრაციაში გატარებულ იქმნა 80,646 პირი, რომელთაგან 36,178 პირი (საბჭოს მოსამსახურენი, უმუშევარნი, ინვალიდები) განთავისუფლებულ იქმნენ გადასახადიდან თანახმად პროფ. კავშირებისგან გაცემულ მოწმობებისა. გადასახადი გადაიხადა სულ 44,468 პირმა, 20 მაისიდან 15 ივლისამდე სამკურნალო გადასახადი შემოვიდა აღმასკომის სალაროში 1,832,550,000 მან.

ამ გვარათ 15 ივლისამდე რეგისტრაციაში გატარებულია სულ 17,9% მცხოვრებთა. ამის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ როცა ყველა მცხოვრებნი (100%) გატარებული იქმნებიან რეგისტრაციაში, ქალაქი მიიღებს დაახლოვებით 10 მილიარდამდე. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ გადასახადიდან განთავისუფლებულთა რიცხვი მომავალში ნაკლები იქნება (მუშა-მოსამსახურეებმა უმეტეს ნაწილად პირველ რიგში მოიტანეს განთავისუფლების მოწმობა), შეიძლება თამამათ ითქვას, რომ ქალაქი აქედან აიღებს ამ წელს 12 მილიარდამდე.

# უმცროსთა სამეფოს აღმზრდელობითი კლუბი

19 ივლისი რუსთაველის თეატრში უმცროსთა სამეფოს აღმზრდელობითი კლუბის მიერ გამართულმა სადამომ საჩინადოთ გამოამჟღავნა უმცროსთა სამეფოს აღმზრდელობითი კლუბის მნიშვნელობა და დაამტკიცა, რომ მოზარდი თაობა არასოდეს არ მომწიფდება საშუალო სასწავლებლის დამთავრებით, თუ მას თან არ ახლავს სხვა პრაქტიკული ცოდნა. ამ მხრივ უმცროსთა სამეფოს აღმზრდელობით კლუბებს პირველი ადგილი უჭირავს. უმცროსთა აღმზ. კლუბი პრაქტიკული გიმნაზიაა, რომელშიაც არსდება მრავალი სხვა და სხვა წრეები და ჯგუფები ხელოვნების და მეცნიერების პრაქტიკულად შესწავლისათვის.

იქ იწყება განვითარების პირველი სათავე და მთლიანი საფუძველი კი გიმნაზიებსა და უნივერსიტეტებში ეყრება მისი სპეციალური შესწავლით. ასეთ კლუბებში მოზარდი ეცნობა თავის თავს, თუ რომელ დარგისათვის გამოსადეგია ის, რის შემდეგაც მეტი სურვილით და უნარით ეპყრობა მისაწდომ დარგს.

აღსანიშნავი იყო მოქ. ანდრია კლდიაშვილის მოხსენება, რომელმაც თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ კაცობრიობის პროგრესი სულთა ოკეანეს ღელვის შედეგია—ახალი სპობს ძველს, ფრთებს ისხამს, ვითარდება, ძველდება და შემდეგ ისპობა.

ამის ნიმუშები—ქართულ მწერლობაშიც მოიპოვება. ერთი მხრივ გრიგოლ ორბელიანი და-მეორე მხრივ ილია ჭავჭავაძე. თანამედროვე მწერლობაში, ძველ—მწერალთა კავშირი და—ცისფერი ყანწელები, მაგრამ ჩვენში სამწუხაროდ ყოველივე ნასესხები და შაბლონიურია, ეს კი აიხსნება ჩვენი მოზარდი თაობის არა დროზე მომწიფებით. საქართველოს ძველ რუსეთთან შეერთების დღიდან არასდროს არ უცდია ევროპასთან ერთად, რადგან მას არ შეეძლო. მაგრამ, რა არის ჩვენი უძლურობის მიზეზი. ამაზე ერთხელაც არ დასმულა კითხვა სანამ მოქ. ა. კლდიაშვილი ხმას არ ამოიღებდა. ევროპიელი მით არის ევროპიელი, რომ „ის არ უცდის ბუნებრივ სიმწიფეს და ხელოვნურად მწიფდება, და როს ბუნებრივად მწიფდება ის მაშინ განვითარების უმაღლეს წერტილს აღწევს", თითქოს ეშინიან სიკვდილმა არ მოასწროსო.

ევროპიელი ორი რქით ებრ. ცხოვრებას პრაქტიკით და თეორიით, ამბობს კლდიაშვილი მეტი ყურადღება ჩვენი უცროს სამეფოს აღზრდისადმი, საჭიროა ბავშვებს გიმნაზიის ცოდნასთან ერთად მივცეთ პრაქტიკული ცოდნაც, გავავარჯიშოთ ნორჩი აზროვნება შევაჩვიოთ შრომას, რომ ამით გარკვეული წარმოდგენა ქონდეს თავის მომავალზე. ჩვენ ახალი გზა უნდა ამოვირჩიოთ—ამბობს ა. კლდიაშვილი რომ უმცროსი თაობა ავამოძრაოთ ჩქარი ტემპით.

საქართველო გამოეწყო ევროპიულად გარეგნობით და საჭიროა გამოცვლა სულით, რომ ის ნამდვილი ევროპიელი გახდეს.

ამისათვის კი საჭიროა ზომების მიღება, რაც შეიძლება ადრე, რომ ჩვენი მოზარდი თაობა გამოიყვანოთ არსებულ მდგომარეობიდან და მივცეთ მეტი გასაქანი.

დიდი მადლობის ღირსია მოქ. ანდრია კლდიაშვილი ასეთ დაწესებულების დაარსებისთვის.

ქართველ საზოგადოებაში პირველათ მან გამოიღო თავი ჩვენი ახალგაზრდა თაობის შრომის დაწყებისადმი და იმედია, მისი მუშაობა შესაფერ ნაყოფს გამოიღებს ქართველ მოზარდ თაობის აღზრდა—განვითარებით. მე მგონი ამაზე არც მთავრობა დახუჭავს თავის მზრუნველობის თვალს და დროზე გაუწევს ანგარიშს მორიგ ამოცანას, რაც შეიძლება მეტი ყურადღება უმცროსთა შემადგენლობის რომ, დროზე თავი დააღწიოს არსებულ სისტემას და გავრცელდეს ასეთი კლუბები მთელ რესპუბლიკის მაშტაბით, ამასთანავე არა ნაკლები ყურადღება უნდა მიაქციოს თვით ხალხმა.

გაწვრთნა ჩვენი ახალი თაობის—განმტკიცება ჩვენი მომავლის. როგორც ზევით ვსთქვით: კლუბები პირველი და უკანასკნელი საშუალებაა აზროვნების გავარჯიშებისათვის. აქ შეიძლება მოეწყოს მრავალი სხვა და სხვა წრეები და ჯგუფები ხელოვნებისა და მეცნიერების შესასწავლად, გაიმართოს დისპუტები—შეჯიბრებანი და სხ.

ვინც დაესწრო ხსენებულ სადამოზე, ნახავდა, თუ როგორ იქმნა შესრულებული სადამოს პროგრამმა. მაყურებელი დიდ განსხვავებას ვერ ჰპოებს ჩატარებულ სადამოს მონაწილეთა და სხვა დიდ ასე ვთქვათ ვითომდა დამსახურებულ მსახიობებს შორის. შესანიშნავათ შესრულდა ბავშთა ხორომ სიმღერა „სამშობლო" ფალიაშვილის ლოტბარობით, ფურცელაძემ და შაჰნაზაროვმა დიდებულათ შეასრულეს იუმორიული კუპლეტები, რის გამოთაც მაყურებელ საზოგადოებაში მხიარულებას საზღვარი არ ქონდა „ვასო აბაშიძეები ბევრი გვყოლიაო" უჩურჩულა დამსწრე საზოგადოება. აღსანიშნავი იყო მათი მიმიკა და ინტონაცია. აგრეთვე პატარა ბავშვებმა შესანიშნავათ წარმოსთქვეს ლექსები. ეს სადამო როგორც პირველი ჩინებულად ჩატარდა და შემდეგში იმედია კიდე უკეთესი იქნება.

კმარა ამდენი დილეტანტობა. დრო არის გადვიძების. ვისაც სმენა აქვს გაიგონებს ამ ხმას, ჩაერევა ამ ბავშთა აღზრდის საქმეში და სხვასთან ერთად იმუშავებს ჩვენი მოზარდი თაობის განვითარებისათვის.

ბენიამინ დარბონი.

# ფოსტელთა შორის

ხუთშაბათს, 20 ივლისს, ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის მოსამსახურეთა მონაწილეობით გაიმართა მორიგი სადამო-წარმოდგენა ამავე უწყების სახაფხულო კლუბში. დადგმულ იქმნა ვ. გუნიას ორმოქმედებიანი კომედია „რაც არ მერგება არ შემერგება" ამხ. ს. სულხანიშვილის რეჟისორობით.

მონაწილეობას იღებდნენ: თავად ზაალის როლში ჯავახიშვილი, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ აქვს შეთვისებული მსახიობის ტემპერამენტი. საჭიროა, რომ მეტი იმეცადინოს. თავად ლუკა ამირეჯიბს ბ. სადგაროვი ასრულებდა რომლის შესრულება უნდა ჩაითვალოს საშუალოდ. ქალ. კნეინა ეფროსინე (მ. ქართველიშვილი) ხელს უწყობდა ანსამბლს. მოლოდინს გადააჭარბეს ამ სადამოს ამხ. ნ. იანქოშვილის ქალმა, ს. სულთანიშვილმა და კოშკაძემ, თუმცა უკანასკნელს იმერული კილო არ ემარჯვება ერთი სიტყვით, სადამო დამაკმაყოფილებელი იყო დადგმის მხრივაც.

პირველ წერილში, როდესაც მხოლოდ ტელეფონის კვლის ხელმძღვანელობით გაიმართა სადამო, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ საჭიროა მთლიანი კავშირი ამ ყველა მუშა-მოსამსახურეების, რათა გაერთიანებული ძალით შეუდგომოდნენ ხელოვნების დარგში მუშაობას და მართლაც პროფ. კავშირმა ამას შესაფერისი ანგარიში გაუწია, რამაც გააერთიანა აღნიშნულ უწყების ყველა სცენის მოყვარენი. დღეს ამ უწყების მუშას თამამად შეუძლია სთქვას, რომ მართლაც ყავთ შესაფერისი სცენის მოყვარენი. მხოლოდ საჭიროა, რომ ასეთი სადამო-წარმოდგენები კვირაში იმართებოდეს არა ერთხელ (მხოლოდ ხუთშაბათობით), არამედ ორჯერ მაინც, რადგანაც ფოსტა-ტელეგრაფის თანამშრომლებს, მხოლოდ აქ ამ ბაღში შეუძლია ცოტა ოდნათ მაინც დაისვენოს.

დასასრულ გაიმართა ბალეტი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ სპეციალურად მოწყობილი მსახიობნი.

სადამო იყო მეტად შინაარსიანი და დასრულდა ღამის ორ საათზე. საზოგადოება ბლომად დაესწრო და ნასიამოვნები დაიშალნენ.

ჩვენ დიდის სიხარულით ვეგებებით, რომ საზაფხულო სეზონი კვლავ დაიწყო.

გრაფო.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დადგენილება

**სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა**

რევოლიუციონური ტრიბუნალის მიერ გამოტანილი უმაღლესი სასჯელის განაჩენების დამტკიცების წესის შესახებ.

უმაღლესი ხარისხის სასჯელის—დახვრეტის—განაჩენთა დამტკიცებისათვის თანაბარი წესის დასამყარებლად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აწესებს:

1. უმაღლესი რევოლიუციონური ტრიბუნალის განაჩენი უმაღლესი ხარისხის სასჯელის—დახვრეტის—შესახებ იმ საქმეზე, რომელსაც იგი, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე 3-ე №-რის დადგენილების მე-6 მუხლის თანახმად, განიხილავს როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო აგრეთვე ყველა რევოლიუციონური ტრიბუნალის განაჩენი, ასეთივე ხასიათისა წარედგინება საბოლოო დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს ქვემოდ აღნიშნული წესით:

2. უზენაესი რევოლიუციონური ტრიბუნალის განაჩენი წარდგენილ უნდა იქნეს ორი დღის განმავლობაში დღიდან დადგენილებისა—საქმითურთ და უკეთუ სასჯელ-დადებული პირი მოისურვებს შუამდგომლობის აღძვრისა ძისი თხოვნითურთ, რომელიც მიმართულ უნდა იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე და უზენაესი რევოლიუციონური ტრიბუნალის პლენუმში შეტანილი ზემოდ აღნიშნულ ვადაზე.

3.—რევოლიუციონური ტრიბუნალის განაჩენი, იმის და მიუხედავად—განხილულ იქნება იგი საკასაციო წესით თუ არა, წარდგენილ უნდა იქნეს—საქმითურთ—უზენაეს რევოლიუციონურ ტრიბუნალში, რომელიც იმ შემთხვევაში, უკეთუ დაამტკიცებს მას სამის დღის განმავლობაში დღიდან სასჯელ დებულებისათვის განაჩენის ასლის ჩაბარებისა,—წარუდგენს ამ განაჩენს დასკვნითურთ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს საბოლოოდ დასამტკიცებლად.

4. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, უმოკლესი ვადის განმავლობაში, დღიდან უზენაესი რევოლიუციონური ტრიბუნალის მიერ განაჩენის წარდგენისა, ან დაამტკიცებს განაჩენს, ან შესცვლის სასჯელის ზომას; უკანასკნელ შემთხვევაში სასჯელის ზომა გადაჭრით უნდა იქნეს აღნიშნული.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე.

1922 წ. ივლისის 20.

ტფილის-სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

# ქალაქის აღმასკომის სამიწად-მომქმედო განყოფილება

ამით აცხადებს სახლის მეპატრონეთა საყურადღებოთ, რომ გაყიდვა და შემოტანა საანკეტო ფურცლებისა სახლების რეგისტრაციისათვის გრძელდება 1 აგვისტომდე. საანკეტო ფურცლის ფასია—100.000 მან 1 აგვისტოდან საანკეტო ფურცლების ფასი გადიდდება 10 ჯერ. 10—3

ტირაჟი 100 საქართვ. უმაღ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა. კრუზენშტერნის ქუჩა, ნ. ფ. ს. ც.